ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

საპროცენტო განაკვეთების შედარება საცალო საკრედიტო პროდუქტებისათვის ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში და სასესხო პორტფელის ხარისხის შედარება საქართველოს საბანკო და არა-საბანკო სექტორებში

ქვეყნების შედარებითი კვლევა საკრედიტო პროდუქტებზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შედარების მიზნით ჩატარდა ISET-ის პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ თიბისი ბანკისათვის 2018 წლის აპრილი-მაისის პერიოდში

კვლევის მეთოდოლოგია

- კვლევა მოიცავს 48 მოწინავე ბანკს შემდეგ 13 ქვეყანაში: აზერბაიჯანი, ალბანეთი, მაკედონია, პოლონეთი, რუსეთი, რუმინეთი, საქართველო, სერბეთი, სომხეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ჩეხეთი და ხორვატია. შერჩეული ქვეყნები წარმოადგენენ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს სამხრეთ კავკასიის, ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონებიდან.

- აღნიშნული ქვეყნებიდან ბანკების შერჩევის კრიტერიუმები შემდეგია: ბანკები შერჩეული იქნა აქტივების ზომის მიხედვით. თითოეულ საკრედიტო პროდუქტზე ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, მკვლევარების ჯგუფი უკავშირდებოდა შემდეგ უმსხვილეს ბანკს, მანამ, სანამ თითოეულ პროდუქტზე ორი დაკვირვება მაინც არ მოგროვდებოდა.

- გამოკითხვა მოიცავს 5 საკრედიტო პროდუქტს (ადგილობრივ და უცხოურ ვალუტაში): ფიქსირებულ განაკვეთიანი იპოთეკური სესხი, მცურავ განაკვეთიანი იპოთეკური სესხი, უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი, არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი და საკრედიტო ბარათები.

- კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, მონაცემები მოძიებული იქნა შემდეგი ოთხი მეთოდის გამოყენებით: ბანკის წარმომადგენლებთან პირდაპირი სატელეფონო კონტაქტი, ბანკის წარმომადგენლებთან ონლაინი ჩატის მეშვეობით კონტაქტი, შერჩეული ბანკების ვებ-გვერდებიდან ინფორმაციის მოძიება და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კონტაქტი.

- ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ცნება და მისი დათვლის მეთოდოლოგია იდენტურია ყველა ქვეყნისათვის. ფინანსური დანახარჯები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთების დათვლისას შემდეგია:
  - ❑ საპროცენტო სარგებელი;
  - ❑ ბანკის მომსახურების საკომისიო მოსაკრებლები;
  - ❑ სესხის გამოტანის საკომისიო;
  - ❑ სავალდებულო სადაზღვევო საკომისიო;
  - ❑ ქონების შეფასების ღირებულება;
  - ❑ სხვა სახის ხარჯები, როგორიცაა: ნოტარიული დანახარჯები, საკრედიტო ბიურსათვის გადასახდელი, საგარანტიო ქონების რეგისტრაციის ხარჯები და ა.შ.
  - ❑ ყველა სხვა ტიპის დანახარჯი, რაც წარმაოდგენს სავალდებულო დანახარჯს სესხის აღებისათვის.

  ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კალკულაციისათვის გამოყენებულია თიბისი ბანკის მიერ მოწოდებული ფორმულა. ქვეყნის საშუალო საპროცენტო განაკვეთის გასაანგარიშებლად გამოყენებულია შესაბამისი კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთების არითმეტიკული საშუალო.
- საცალო საკრედიტო პროდუქტებზე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებთან ერთად კვლევა ასევე აჩვენებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით და დეპოზიტებზე განაკვეთით შესწორებულ საპროცენტო განაკვეთებს. სესხზე საპროცენტო განაკვეთები ასახავს საკრედიტო რესურსის ფასს, აქედან გამომდინარე, ეს ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იქნას ქვეყნებს შორის საპროცენტო განაკვეთების შედარებისას.
- ქვეყნების შემდეგი ჯგუფისათვის: ჩეხეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ხორვატია, სერბეთი, საქართველო, ყაზახეთი და უკრაინა, ფიზიკური პირების ვადიან დეპოზიტებზე საშუალო განაკვეთები იქნა შერჩეული როგორც ჯამურად ვადიან დეპოზიტებზე განაკვეთების მიახლოება. რუსეთისა და სომხეთისათვის დეპოზიტზე განაკვეთი გამოთვლილ იქნა როგორც 1 წლამდე და 1 წელზე მეტი ვადიანობის დეპოზიტებისათვის საშუალო განაკვეთი. ალბანეთისათვის დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ბოლო პერიოდში გაცემულ საპროცენტო განაკვეთს და არა პორტფელის საშუალო შეწონილს.

***შენიშვნა**: ნაშრომში შეიძლება შევიდეს ცვლილებები ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტთა კომიტეტისგან მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით.*

საბანკო პროდუქტების ანალიზი: საკრედიტო ბარათები ადგილობრივ ვალუტაში

ეფექტური საპროცენტო განაკვეთები საკრედიტო ბარათებზე, შესწორებული ვადიან დეპოზიტებზე განაკვეთით



ეფექტური საპროცენტო განაკვეთები საკრედიტო ბარათებზე, შესწორებული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით



ეფექტური საპროცენტო განაკვეთები საკრედიტო ბარათებზე



კომენტარი

- იქედან გამომდინარე, რომ საკრედიტო ბარათები ძირითადად გამოიყენება პოს-ტერმინალებზე გადახდისას, შედარებულია საპროცენტო განაკვეთები სავაჭრო ოპერაციებზე.
- იმისათვის, რომ საპროცენტო განაკვეთები ყოფილიყო შედარებადი, შერჩეული იქნა Visa classic/ Master Card ის ტიპის სტანდარტული საკრედიტო ბარათები.
- საშეღავათო პერიოდი საკრედიტო ბარათებზე არის 24-55 დღის შუალედში სხვადასხვა ბანკებისა და ქვეყნებისათვის.
- იმისათვის, რომ საპროცენტო განაკვეთები იყოს შედარებადი ქვეყნებს შორის, ასევე ნაჩვენებია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით და ვადიანი დეპოზიტის განაკვეთით შესწორებული საპროცენტო განაკვეთები.

შენიშვნა: საპროცენტო განაკვეთები დამრგვალებულია მეათედებამდე

ISET

საბანკო პროდუქტების ანალიზი: არა-უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი ადგილობრივ ვალუტაში

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადგილობრივ ვალუტაში გაცემულ არა-უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხზე, შესწორებული ვადიან დეპოზიტზე განაკვეთით



ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადგილობრივ ვალუტაში გაცემულ არა-უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხზე, შესწორებული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით



ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადგილობრივი ვალუტაში გაცემულ არა-უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხზე



კომენტარი

- ჩეხეთში საპროცენტო განაკვეთი მეტად სენსიტიურია სესხის მოცულობის მიმართ (30,000 CZK). ნომინალური საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 4 პროცენტული პუნქტით ნაკლები იყო 100,000 CZK მოცულობის სესხის შემთხვევაში.
- იმისათვის, რომ საპროცენტო განაკვეთები იყოს შედარებადი ქვეყნებს შორის, ასევე ნაჩვენებია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით და ვადიანი დეპოზიტის განაკვეთით შესწორებული საპროცენტო განაკვეთები.

შენიშვნა: საპროცენტო განაკვეთები დამრგვალებულია მეათედებამდე

ISET

საბანკო პროდუქტების ანალიზი: უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი ადგილობრივ ვალუტაში

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადგილობრივ ვალუტაში გაცემულ უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხზე, შესწორებული ვადიან დეპოზიტზე განაკვეთით



ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადგილობრივ ვალუტაში გაცემულ უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხზე, შესწორებული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით



ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადგილობრივ ვალუტაში გაცემულ უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხზე



კომენტარი

- შედარებისათვის შერჩეულ იქნა სამომხმარებლო სესხები მხოლოდ უძრავი ქონების უზრუნველყოფით, რაც საპროცენტო განაკვეთებს ქვეყნებს შორის უფრო შედარებადს ხდის.
- უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხები არ არის პოპულარული სერბეთში, პოლონეთში, ჩეხეთში, ხორვატიასა და მაკედონიაში. უმეტეს შემთხვევაში ბანკები ითხოვენ დეპოზიტით ან მომავალი შემოსავლების გარანტიით უზრუნველყოფას.
- იმისათვის, რომ საპროცენტო განაკვეთები იყოს შედარებადი ქვეყნებს შორის, ასევე ნაჩვენებია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით და ვადიანი დეპოზიტის განაკვეთით შესწორებული საპროცენტო განაკვეთები.

შენიშვნა: საპროცენტო განაკვეთები დამრგვალებულია მეათედებამდე

ISET

საბანკო პროდუქტების ანალიზი: იპოთეკური სესხი უცხოურ ვალუტაში

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მცურავ განაკვეთიან იპოთეკურ სესხზე უცხოურ ვალუტაში, შესწორებული ევროსა და დოლარის განაკვეთებს შორის განსხვავებით



ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მცურავ განაკვეთიან იპოთეკურ სესხზე უცხოურ ვალუტაში, ევროსა და დოლარის განაკვეთებს შორის განხვავებით შესწორების გარეშე



ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულ განაკვეთიან იპოთეკურ სესხზე უცხოურ ვალუტაში, შესწორებული ევროსა და დოლარის განაკვეთებს შორის განსხვავებით



ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულ განაკვეთიან იპოთეკურ სესხებზე უცხოურ ვალუტაში, ევროსა და დოლარის განაკვეთებს შორის განხვავებით შესწორების გარეშე



კომენტარი

- გრაფიკებზე მოცემულია ის ქვეყნები, სადაც უცხოურ ვალუტაში გაცემულ იპოთეკურ სესხებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთები მოიპოვებოდა.
- სომხეთისა და საქართველოს შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთები მოცემულია იპოთეკური სესხებისათვის დოლარში, ხოლო ხორვატიისა და მაკედონიისათვის ევროში.
- იმისათვის, რომ საპროცენტო განაკვეთები შედარებადი ყოფილიყო, მცურავ განაკვეთიანი იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შესწორებულია EURIBOR-სა და USD LIBOR-ს შორის სხვაობით და ნაჩვენებია ცალ-ცალკე გრაფიკებზე.
- სიმარტივისათვის, ფიქსირებულ განაკვეთიანი იპოთეკური სესხები იმავე მიდგომითაა შესწორებული (მაგ. და არა ევროს და დოლარის მთავრობის 10 წლიან ფასიან ქაღალდებზე განაკვეთებს შორის სხვაობით).

შენიშვნა: საპროცენტო განაკვეთები დამრგვალებულია მეათედებამდე

ISET

საბანკო პროდუქტების ანალიზი: ცვლად განაკვეთიანი იპოთეკური სესხი ადგილობრივ ვალუტაში

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ცვლად განაკვეთიან იპოთეკური სესხზე ადგილობრივ ვალუტაში, შესწორებული ვადიანი დეპოზიტზე განაკვეთით



ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ცვლად განაკვეთიან იპოთეკური სესხზე ადგილობრივ ვალუტაში, შესწორებული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით



ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ცვლად განაკვეთიან იპოთეკური სესხზე ადგილობრივ ვალუტაში



კომენტარი

- სერბეთში, პოლონეთში, ჩეხეთში, რუმინეთში, ალბანეთში საპროცენტო განაკვეთები მიბმულია ბანკთაშორის განაკვეთებზე, როგორებიცაა: Belibor, Wibor, Pribor, Robor, Tribor.
- სომხეთში, საქართველოში, ხორვატიაში და მაკედონიაში განაკვეთები მიბმულია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე, რომელიც განისაზღვრება ცენტრალური ბანკების მიერ.
- ფიქსირებულ განაკვეთიანი იპოთეკური სესხი ადგილობრივ ვალუტაში არ არის გავრცელებული პორდუქტი საქართველოში, აქედან გამომდინარე, იგი არ იქნა გათვალიწინებული.
- იმისათვის, რომ საპროცენტო განაკვეთები იყოს შედარებადი ქვეყნებს შორის, ასევე ნაჩვენებია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით და ვადიანი დეპოზიტის განაკვეთით შესწორებული საპროცენტო განაკვეთები.

შენიშვნა: საპროცენტო განაკვეთები დამრგვალებულია მეათედებამდე

ISET

საბანკო პროდუქტების ანალიზი: სასესხო პორტფელის ხარისხი საქართველოს საბანკო და არა-საბანკო სექტორებში



კომენტარი

- ისტორიულად საბანკო სექტორის სასესხო პორტფელის ხარისხი უკეთესია არა-საბანკო სექტორში არსებულზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხარისხს სესხების რაოდენობით და არა მოცულობით.
- ბოლო ორი წლის განმავლობაში სასესხო პორტფელის ხარისხი არა-საბანკო სექტორში მნიშვნელოვნად გაუარესდა, მაშინ როცა საბანკო სექტორში სესხების ხარისხი სტაბილურია.

წყარო: კრედიტინფო

*განისაზღვრება როგორც 30-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობის წილი სესხების მთლიან რაოდენობაში, რომელიც არ მოიცავს 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე სესხებს

ISET

ISET